ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 აგვისტო, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 149 (9816). ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სახალხო განათლების სისტემის სპორტული სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება

ბურთების სხვაობამ გადაწყვიტა

მოგილიოვი. სახალხო განათლების სისტემის სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებული ფეხბურთელთა ტურნირის ბოლო დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ბელორუსიის ფეხბურთელთა შედეგებს. ორივე კოლექტივმა მანამდე, ფინალურ ტურნირში 5-5 ქულა დააგროვა.

ჩვენი ჭაბუკები ამ დღეს უკრაინის ძლიერ გუნდთან თამაშობდნენ. ერთადერთმა გოლმა, რომელიც ესართიამ გაიტანა, გამარჯვება საქართველოს გუნდს მოუტანა.

ბელორუსიელთა მეტოქე ამ დღეს სომხეთის ნაკრები იყო. ლიდერმა ეს შეხვედრა ძლიერად ჩაატარა და სომეხ ჭაბუკებს ოთხი „მშრალი" გოლი გაუტანა.

საქართველოსა და ბელორუსიის ფეხბურთელებმა ტურნირი ერთნაირი შედეგით დაამთავრეს. ორთავე გუნდმა 7-7 ქულა დააგროვა. ასეთ შემთხვევაში, დებულების თანახმად, უპირატესობა ბურთების სხვაობას უნდა გადაეწყვიტა. აქ კი უკეთესი მაჩვენებლები ბელორუსიელ ჭაბუკებს აღმოაჩნდათ, რომლებიც გავიდნენ კიდეც პირველ ადგილზე. ჩვენი თანამემამულეები მეორე ადგილზე არიან.

მინიკალათბურთში ამ ფესტივალის მონაწილე ჭაბუკებს, მეორედ რომ მასპიძლობს თბილისი, საყვარელი თამაშის გარდა, სხვა ინტერესებიც აკავშირებს ერთმანეთთან. ფესტივალის პროგრამაშია, აგრეთვე ხელოვნება, ცურვა.

პირველი ტურის შედეგები: უზბეკეთი — ყაზახეთი 56:33; „მართვე" — ლიტვა (I) 66:41; ესტონეთი — ლენინგრადი 51:42; რსფსრ (II) — მოსკოვი 71:55; აშშ — უკრაინა 43:39; „ნორჩი დინამოელი" (თბ.) — რსფსრ (III) 61:42; მოლდავეთი — ლიტვა (II) 76:36; ბელორუსია — რსფსრ (I) 36:33.

სურათზე — ერთმანეთს ხვდებიან ლიტველი და ქართველი ნორჩი კალათბურთელები. (ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო).

ევროპის პირველობა ახალგაზრდებს შორის სინქრონულ ცურვაში

ოქროს მედლით დაგვიბრუნდა

წლევანდელი ზაფხული განსაკუთრებით ბედნიერი აღმოჩნდა თბილისელი სინქრონული ცურვის ოსტატ ნინო მაისურაძისთვის (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება). მან წლეულს საშუალო სკოლა დაამთავრა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტიც გახდა.

გუშინ ნინო დაბრუნდა ჰოლანდიიდან, სადაც ახალგაზრდების ევროპის პირველობაში მონაწილეობდა. იგი თანაგუნდელებთან ერთად ჯგუფურ შეჯიბრებაში ოქროს მედალს დაეუფლა.



ნინო მაისურაძე.

მაისურაძე ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელია, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია.

მისი და სხვათა ოსტატობის ნახვა თბილისელ გულშემატკივრებს შეუძლიათ ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში, სადაც 4-7 აგვისტოს საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდება.

შეჯიბრების ანგარიშის პარალელურად შემოგთავაზებთ ინტერვიუს ნინო მაისურაძესთან.

სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

ახლა ნორმატივია შესასრულებელი

25 წლის თბილისელმა სტაიერმა ოლეგ სტრიჟაკოვმა („დინამო") საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა 10 კმ-ზე რბენაში. კიევის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც ეს შეჯიბრება მიმდინარეობდა, ჩვენმა სპორტსმენმა 28.27,29 აჩვენა და მხოლოდ წამის 7 მეასედით ჩამორჩა ს. სმირნოვს (ანდროპოვი), რომელიც უფრო სწრაფი აღმოჩნდა ფინიშზე. მესამე ადგილზეა ქვეყნის რეკორდსმენი 5 კმ-ზე რბენაში ვ. აბრამოვი (მოსკოვის ოლქი).

სტრიჟაკოვის წარმატება განსაკუთრებით სასიხარულო იქნებოდა ერთი გარემოება რომ არა: საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა მორბენლებს ოლიმპიურ ნორმატივად 10-კილომეტრიან დისტანციაზე ზუსტად 28 წუთი დაუწესეს. ოლეგ სტრიჟაკოვის შედეგი, როგორც ხედავთ, 27,29 წამით ჩამორჩება მას. მაგრამ იმედია, მწვრთნელები სტაიერებს კიდევ მისცემენ შესაძლებლობას შეასრულონ ოლიმპიური ნორმატივი, სეულის სტარტებამდე ჯერ კიდევ თვენახევარი რჩება.

არა მარტო მრავალჭიდში...

როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ტანვარჯიშში და ჩემპიონატი ცალკეულ იარაღებზე. ისიც შეგატყობინეთ, რომ ვაჟთა მრავალჭიდში (სსრ კავშირის თასის გათამაშება) თბილისელმა ვლადიმერ გოგოლაძემ 115,85 ქულით V ადგილი დაიკავა (მეოთხე ადგილზე გასული ვალენტინ მოგილნის შედეგი 115,95 ქულა იყო) და სეულის ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა.

თბილისელი ტანმოვარჯიშე არც ცალკეულ იარაღებზე გამოსულა ურიგოდ. თავისუფალ ვარჯიშში საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა — 19,575 ქულა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გამარჯვებულ ვ. ნოვიკოვს (ალმა-ათა) 19,6 ქულა ჰქონდა.

ვლადიმერ გოგოლაძემ ჩემპიონატში ერთი ბრინჯაოს მედალიც დაისაკუთრა. რგოლებზე ვარჯიშში იგი მესამე იყო — 19,325 ქულა.

ლიდერობს თეა ლანჩავა

რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარაში მიმდინარეობს სხვადასხვა ასაკის მოზარდ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატები. 14 წლის ასაკის მოჭადრაკეთა ტურნირში 7 ტურის შემდეგ 5 ქულით ლიდერობს თბილისელი თეა ლანჩავა.

სტიპლ-ჩეისი უკვე ტრადიციულად ტარდება თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე. გასულ კვირას ცხენოსნობის ამ რთულ სახეობაში აქ გათამაშდა საქართველოს ტელევიზიის პრიზი, რომელიც გამოცდილმა ზუგდიდელმა ოსტატმა ოთარ ჯაფარიძემ მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ოთარმა მეორედ მოიგო თბილისის სტიპლ-ჩეისი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ოთარ მამფორია (გულრიფში) და ვალერი შელია (სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო ბაზა).

სურათებზე: ოთარ ჯაფარიძე (ზევით), ქვევით — შეჯიბრების მომენტი.

თბილისშიც ცხელა. რა ქნან ქალაქში დარჩენილმა ბავშვებმა, სად გაგრილდნენ, სად იბანაონ? მოზარდებს ხომ ანდამატივით იზიდავს წყლის სამყარო. ამ ბავშვებს, რაკი საცურაო აუზებში ვერ შეუღწევიათ ან გულდაწყვეტილნი შეჰყურებენ უწყლო აუზებს, სხვა რა დარჩენიათ — ქალაქის შადრევნებთან იქლავენ ჟინს. (იხ. მე-2 გვ.).

ალბერტ ვაჩიანის ფოტო.

ელვა-ინფორმაცია

ბაირკა3ა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ოლიმპიური ნაკრების გუნდის შემადგენლობა, რომელთა შორისაა თბილისელი ლეილა მესხი. მესხის გარდა სეულში გაემგზავრებიან: ა. ჩესნოკოვი, ა. ვოლკოვი, ა. ჩერკასოვი, ა. ოლხოვსკი, ნ. ზვერევა და ლ. სავჩენკო.

ერევანი. თბილისელმა ოლეგ კორენკომ მოიგო ინდივიდუალური რბოლა 25 კმ-ზე (31,48 წ.) და პირველი იყო საკავშირო მრავალდღიან რბოლაში ტრეკზე მოასპარეზე ველოსიპედისტთა შორის. ეს ასპარეზობა გაიმართა კამო-მარტუნის მაღალმთიან ტრასაზე.

ამერიკელი ბეისბოლისტები სსრ კავშირში

ქალაქ ჰობოკენის (ნიუ-ჯერსის შტატი) ბეისბოლის სამოყვარულო გუნდი „აშშ-ს ელჩები" 17 აგვისტოდან ათდღიანი ტურნეს გასამართავად მოემგზავრება საბჭოთა კავშირში. ამის შესახებ გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაზე ორგანიზაციის გამართულ შეხვედრაზე გამოუცხადეს ჟურნალისტებს, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა ვერნონ უოლტერსმა და ამავე ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობათა შემსრულებელმა ვალენტინ როზინსკიმ.

ქალაქი ჰობოკენი ამერიკელებს „ბეისბოლის აკვნად" მიაჩნიათ. ამერიკელი სპორტსმენები სსრ კავშირის ბეისბოლის ფედერაციის მოწვევით ჩამოვლენ მოსკოვში, კიევსა და თბილისში, ტურნეს ორგანიზატორია კომპანია „ტაკო ბელი", რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში რესტორნების ფართო ქსელს აერთიანებს. როგორც მისი ჩრდილოეთ განყოფილების ვიცე-პრეზიდენტმა მარტინ რედგრეივმა განაცხადა, კომპანიამ გადაწყვიტა „გამოიყენოს საჯაროობის პოლიტიკის მხარდაჭერის შესაძლებლობანი" და დააფინანსოს „აშშ-ს ელჩების" მოგზაურობა სსრ კავშირში, სადაც ბეისბოლი აქტიური განვითარების სტადიაში იმყოფება.

რატომ აქტიურობენ კომიტეტის თავმჯდომარეები?

„ლელოს" 20 ივლისის ნომერში გამოვაქვეყნეთ წერილი სათაურით „ჩაებით საკითხის განხილვაში". წერილში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ექსპერიმენტის სახით რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქსა და რაიონში ერთ ორგანიზაციად გავაერთიანოთ სპორტკომიტეტი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რაიონული საბჭო, დოსააფი და განათლების სპორტსკოლა. რედაქციამ ბევრი წერილი მიიღო, მაგრამ მათი გამოქვეყნება არ ხერხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილებზე, როგორც ჩანს არასწორად გაიგეს სიახლის არსი. მაგალითად, ჩვენ არსად დაგვიწერია, რომ ეს ორგანიზაციები მხოლოდ ადგილობრივ სპორტკომიტეტთან უნდა გაერთიანდნენ, გამოხმაურების წერილები კი პირწმინდად სწორედ კომიტეტის თავმჯდომარეებისაგან მოდის, მოითხოვენ დანარჩენი სპორტული ორგანიზაციების მათთან გაერთიანებას. ვიმეორებთ, საკითხი ასე არ დგას. ლაპარაკია ახალი ორგანიზაციის შექმნაზე, რომლის სახელწოდება ჯერ არ არის დადგენილი. მისი ხელმძღვანელი კი სულაც არ არის აუცილებელი, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე იყოს. ახალ ორგანიზაციას არჩევით სათავეში ჩაუდგება ყველაზე უნარიანი, ავტორიტეტული მუშაკი, შეიძლება ის, ვინც ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში დღეს არც მუშაობს ხელმძღვანელად.

მიზეზები არ დაეღიათ...



ბუნებრივია, ზაფხულობით ცურვის მოყვარულები საცურაო აუზებს უფრო ეტანებიან, ვიდრე ზამთარში. თუმცა, ისიც კია, რომ ზაფხულობით ხპორტული სექციების აღსაზრდელები თბილისიდან გაჰყავთ და არდადეგებს გამაჯანსაღებელ ბანაკებში ატარებენ, ხოლო ნაკრების წევრები შეკრებებზე მიემგზავრებიან. ამიტომაცაა, რომ თბილისის საცურაო აუზების უმრავლესობა ზაფხულობით იკეტება და მათთან აუცილებელი რემონტი ტარდება, რაც ყოველწლიურადაა საჭირო.

სამწუხაროდ, ისიც ხშირად ხდება, რომ ღია საცურაო აუზებს, რომლებსაც ზამთრობით გათბობა ისედაც არ ჰყოფნით, სარემონტოდ მაინცდამაინც ზაფხულში აჩერებენ. ახლა ამას მიათვალეთ ის აუზებიც, რომლებშიც კაპიტალური რემონტი უსაშველოდ, წლების განმავლობაში გრძელდება და ნათელი გახდება თბილისში დარჩენილი ცურვის მოყვარულთა გასაჭირი.

რა თქმა უნდა, რემონტი საჭიროა და საამისოდ აუზი დროზეც უნდა დაიკეტოს, მაგრამ რა ვუყოთ იმ ბაზებს, რომლებიც კაპიტალურ შეკეთებას არ მოითხოვენ და მხოლოდ პროფილაქტიკის მიზნით, აუცილებელი წვრილმანი სარემონტო სამუშაოებისთვის ან წყლის გამოსაცვლელად დროებით უნდა დაიხურონ?

პასუხი ნათელია. ასეთი წვრილმანი სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად გრაფიკი უნდა შედგეს და აუზებიც რიგრიგობით შეკეთდეს.

სინამდვილეში რა ხდება? თბილისში საცურაო აუზების ნახევარი სარემონტოდ, წყლის გამოსაცვლელად თუ სხვა პროფილაქტიკური სამუშაოების ჩასატარებლად მაინცდამაინც ზაფხულობით იხურება.

დღეს როგორი სურათია?

ვიდრე იმ აუზებს ჩამოვთვლიდეთ, რომლებიც არ მუშაობენ, უნდა განვმარტოთ, რომ ჩვენი რეიდის არეში არ შედიოდნენ საშუალო სკოლების აუზები, რომლებიც, როგორც სხვა დროსაც ვწერდით, უმოქმედოდ არიან. უმოქმედოდ არიან იმიტომ, რომ ზოგი თბილი წყლით ვერ მარაგდება, ზოგსაც არც თბილი წყალი აქვს და... არც ცივი. მეხამეგან მშენებლებს გასაფილტრი სისტემა არასწორად დაუმონტაჟებიათ, მეოთხეგან აუზი წყალს უშვებს...

თბილისში იხ სასკოლო აუზები, რომლებიც ასე თუ ისე მუშაობენ (კოოპერატორების წყალობით), ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლება, მაგრამ ამჯერად არც ასეთი ბაზებით დავინტერესებულვართ, რადგან, მოგეხსენებათ საზაფხულო არდადეგების პერიოდში სკოლებში მუშაობა წყდება, იკეტება აუზებიც. ეგეც რომ არ იყოს, სკოლის აუზებისთვის სარემონტოდ ზაფხულზე უკეთესი დრო არ არსებობს.

აი, ამიტომაცაა აუცილებელი, რომ სხვათა აუზებმა რემონტი მაინცდამაინც ზაფხულობით არ ჩაატარონ.

ახლა კი ეს სხვათა აუზებიც ვნახოთ.

„ლოკომოტივის“ საცურაო აუზში, ეტყობა, უსაშველოდ გაჭიანურებული რეკონსტრუქცია თუ კაპიტალური რემონტი ფინიშთან მისულა და, როგორც გვითხრეს, ექსპლუატაციაში ამ დღეებში შევა.

დღესდღეობით ეს აუზი აშენებულია, გადახურულიცაა და ახლა ფილტრებისა და გასათბობი სისტემის მილები გაჰყავთ.

როგორც ფაბრიკის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ჯამშერ მამუჩაშვილი) გვითხრა, აუზის შემინვის შემდეგ მუშაობა ფართო ფრონტით გაიშლება. მშენებლებს (მსუბუქი მრეწველობის სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, მმართველი ნუგზარ კობერიძე, სამუშაოთა მწარმოებლები ვახილ მაღრაძე და თამაზ მაკაცარაშვილი) ფაბრიკის კომკავშირული აქტივი და ახალგაზრდობა ხელს წააშველებს, რაც საქმეს დააჩქარებს და იმედი აქვთ, რომ წლის ბოლოს აუზი მწყობრში შევა.

უწყლოდ ვნახეთ გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ლევან ბოლქვაძე) აუზიც, სადაც კაპიტალური რემონტი დაუწყიათ.

კაპიტალური რემონტია საქართველოს სპორტული ინსტიტუტის აუზშიც (დირექტორი გივი ხუროშვილი), სადაც ეს სამუშაოები ძალზე გაჭიანურდა.

სხვა 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი შოთა შოშვილი) სპორტკლუბ „უშბას“ ორი საცურაო აუზი აქვს, ერთი პირველ, მეორე — მეორე ქარხანაში. პირველი ქარხნის აუზში წყალი კი იყო, მაგრამ აქ რემონტი მიმდინარეობდა და ამიტომ ეს ბაზა არავის მასპინძლობდა. როგორც აუზის დირექტორმა გურამ ლეშკაშელმა გვითხრა, ცურვის მოყვარულებს კარს სექტემბრიდან გაუღებენ.

რაც შეეხება მეორე ქარხნის აუზს, იგი მრავალი წელია უმოქმედოდაა და მისი ბედი საბოლოოდ გაურკვეველია.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზი (დირექტორი ანატოლი პისკარიოვი) საერთოდ გამოკეტილი დაგვხვდა. ამ აუზში რამდენჯერმე ვიყავით, მაგრამ შიგნიდან ჩამიჩუმეც არ ისმოდა. აშკარა იყო, აუზი არ მუშაობდა და აქ არც რემონტი მიმდინარეობდა.

როგორც გავიგეთ, ეს აუზი რამდენიმე კვირაა არ მუშაობს. იქნებ მისი ხელმძღვანელობა ფიქრობს, ჩვენს სტუდენტებს არდადეგები აქვთ და სამუშაოც შემოგველიაო. მაგრამ ხომ არსებობს გამაჯანსაღებელი ჯგუფები (თუ არ არსებობს, უნდა არსებობდეს!) რომლებიც ურიგო შეეხვეწებოდ არ იძლევიან. ეს შემთხვევა ბოლოს-დაბოლოს, აუზის კეთილმოწყობად შეიძლება გამოიყენონ.

ასევ თუ ისე, ამ აუზში სარემონტო სამუშაოების კვალი ვერ ვნახეთ. ნათელია, რომ ბაზის ხელმძღვანელობას, ამ გაგანია სიცხეში ახლო-მახლო მცხოვრებ ცურვის მოყვარულთა ინტერესები არ აღელვებს.

წყალი არც დიღომში მდებარე სასკოლათაშორისო აუზში იყო. როგორც აუზის დირექტორმა ოთარ ურუშაძემ გვითხრა, მათი ბაზის ახლო-მახლო ცხელი წყლის მოწოდება შეწყდა და აუზში პროფილაქტიკური სამუშაოები მიმდინარეობს. აუზი ცურვის მოყვარულებს მხოლოდ 1 სექტემბრიდან უმასპინძლებს.

საქართველოს სპორტსახკომის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში (განყოფილების გამგე თემურ ჩავლეიშვილი) ჩვენი სტუმრობისას, წყალს ცვლიდნენ.

საერთოდ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს აუზი თბილისში და საერთოდ, რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესოა და კარგადაც მუშაობს. ტრადიციულად, ეს აუზი პროფილაქტიკისა თუ წყლის გამოცვლის მიზნით სწორედ ამ დროს იკეტება. ამიტომ მის მიმართ არ შეიძლება რაიმე პრეტენზია გვქონდეს.

მაგრამ ფაქტი ისაა, რომ თბილისის აუზების ნახევარში, სხვადასხვა მიზეზით, წყალი ვერ ვნახეთ.

აი, სამწუხარო ფაქტი სწორედ ესაა.

რა ქნან ბავშვებმა, მოზარდებმა, საერთოდ ცურვის მოყვარულებმა, რომლებმაც ზაფხულში დასახვენებლად გამგზავრება ვერ მოახერხეს და თბილისში დარჩნენ. შვიდი, თუნდაც ორი და სამი ამდენი მოქმედი აუზი. ყველას ხომ ვერ აუვა.

ავთანდილ ჭყონელი.

ასე, მშენებლებო!

ჩერნობილის აეს-ის ენერგეტიკოსთა ქალაქ სლავუტიჩში დამთავრდა პირველი საქალაქო სპარტაკიადა, სადაც გამარჯვებულის სახელი მოიპოვეს ქართველმა მშენებლებმა.

ამ ასპარეზობაში ადგილობრივ კოლექტივებთან ერთად გამოდიოდნენ რვა რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებიც აგებენ ქალაქს, ისე, რომ კონკურენციის თვალსაზრისით ეს სპარტაკიადა არაფრით ჩამოუვარდებოდა საკავშირო შეჯიბრებას.

სპარტაკიადის გახსნის საზეიმო პარადზე ქართველ მშენებელთა წარმომადგენელ, სამუშაოთა მწარმოებელ ომარ ქარქაშაძეს სტადიონის მწვანე გაზონში ნამდვილი ოქროს მედლის ბრწყინვალეებამ თვალები აუჭრელა! დასწვდა მას, და მართლაც, ძვირფასი ლითონი აღმოჩნდა. იგი პარადის ალამდარს, ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონს იოსებ ვიტებსკის მკერდზე აკრული ლენტიდან შეუმჩნევლად მოსწყდომოდა. ომარმა მედალი მფოლობელს დაუბრუნა და თავისიანებს გადაულაპარაკა:

— კარგი ნიშანი უნდა იყოს, ბიჭებო, და ახლა თქვენ იცით!

საგულისხმოა, რომ სპარტაკიადის იმ სახეობაში, რომელშიც ომარ ქარქაშაძე გამოდიოდა — ჭადრაკსა და შაშში ქართველ სპორტსმენებს ხელიდან არ გაუშვიათ პირველობა. ისინი მარტო მძლეოსნურ კროსსა და ფრენბურთში „დაეშვნენ“ მეექვსე ადგილებამდე. თუმცა, 25 გუნდს შორის არც ეს შედეგი უნდა იყოს ურიგო.

ეფიქრობ, ის ნაპოვნი ოქროს მედალი, ქართველებისათვის „იღბლიანი“ რომ გამოდგა, აქ არაფერ შუაშია. ყველაფერში და სპორტშიც გამარჯვებაც, პირველ ყოვლისა, შრომით მოდის. ქართველებმა კარგად იციან ეს, რაც შეეხება მათ შრომისუნარიანობას, ამის შესახებ ადრეც ბევრჯერ დამიწერია „ზარია ვოსტოკასა“ და „ვეჩერნი ტბილისში“. მაგრამ იმის შესახებ არავინ იცოდა თუ როგორ თვისებებს გამოავლენდნენ მშენებლები სპორტში. მებათქაშემ კარგად იცის როგორ შელესავს კედელს მისი თანამეწყვილე, მაგრამ აი, როგორ თამაშობს, ვთქვათ, ფეხბურთს?..

საგულისხმოა, რომ სპარტაკიადის დღეებში არავის უცდია სამსახურიდან გათავისუფლებულიყო: საღამოს 7 საათამდე ყველა ერთად ამზადებდა სახელმწიფო კომისიისათვის ჩასაბარებლად თბილისის კვარტალის რიგით მეშვიდე ლამაზ სახლს, სამში კი მოსაპირკეთებელ სამუშაოებს ატარებდნენ. ალბათ, ამიტომაც მათ ფეხბურთელებს სტადიონ „დრუჟბაზე“ გულშემატკივარი არ აკლდათ. მათ შორის იყვნენ სლავუტიჩის მშენებლობის ვეტერანი, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი მურმან გელენიძე, სამუშაოთა მწარმოებელი გიორგი გუდავა, რომელთაც ადრე დიდად არ ეჭაშნიკებოდათ ფეხბურთი. უამრავი მაყურებელი ჰყავდა ორი ოქმე რესპუბლიკის წარმომადგენლების, საქართველოსა და სომხეთის მშენებელთა გუნდების შეხვედრას.

ჯერ კიდევ შერჩევით მატჩებში უმრავლესობა, და არც თუ უსაფუძვლოდ, უპირატესობას აძლევდა სომხეთის ფეხბურთელებს, რადგან მათ სახელს იცავდა ექვსი ძლიერი მოთამაშე, ისინი, ვინც სულ ცოტა ხნის წინათ ჩერნობოვოს ცნობილ ოსტატთა გუნდში „დესნაში“ გამოდიოდნენ საკავშირო პირველობაზე. ახლა ის ბიჭებიც სლავუტიჩის მშენებლობაზე მუშაობენ და უფლება ჰქონდათ გამოსულიყვნენ თავიანთი გუნდის სახელით. ასეთი ძლიერი მოთამაშეების თავშეყრამ განაპირობა ის, რომ სომხეთის ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით — 10:0 დაამარცხეს ლატვიის კოლექტივი. თუმცა მათ არც ქართველები ჩამორჩნენ და იმავ ლატვიელებს სძლიეს 9:0. ამ წარმატებას ქართველები თავიანთ მეკარე დავით იმერლიშვილს უნდა უმადლოდნენ. მას მრავალგზის უხსნია გუნდი სახიფათო მომენტებისაგან და პენალტებიც აქვს აღებული, მის მხარდამხარ გამოდიან მობილური ნახევარმცველები მერაბ თოდაძე და ალიკ კირაკოსიანი. სულ გუნდმა 15 გოლი გაიტანა მეტოქეთა კარში. მათგან არაერთი გოლი იმსახურებს „საფეხბურთო მიმოხილვის“ კონკურსში მონაწილეობას.

ძლიერ სომხეთის გუნდთან გადამწყვეტ მატჩში მხოლოდ გამარჯვება გვაძლევდა ხელს. კარგად ესმოდა ეს თითოეულ ჩვენთაგანს და თავიდანვე მედგრად შევუტიეთ მეტოქეთა კარს, ანგარიშიც გავხსენით (ბურთიანად აღმოვჩნდი მეკარის პირისპირ და გვერდი ავუარე მას). სომხეთის გუნდს უფრო მორიდებული შედეგი — ფრე აკმაყოფილებდა. გამარჯვებისათვის და მან ეს შეძლო, შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩვენს კარში დაინიშნა პენალტი და მეტოქემ ზუსტად გამოიყენა იგი.

მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ სომხეთის გუნდი ღირსი იყო გამარჯვებისა. მან მაღალ დონეზე წარმართა მთელი ტურნირი და გადამწყვეტი მატჩიც. ქართველ ფეხბურთელებს კი ამ საბედისწერო ფრემ, მეორე კი არა, მესამე ადგილი არგუნა. მეორე სპრიზო ადგილი ერგო სლავუტიჩის თბოენერგეტიკული ქსელის საწარმოს, რომელსაც თანაბარი ქულები აღმოაჩნდა და ბურთების სხვაობით გაგვასწრო.

მესამე ადგილმა ცოტა არ იყოს, გული დაწყვიტა ბიჭებს, მაგრამ, რას იზამ, ფეხბურთი ფეხბურთია.

სტანისლავ ბონდარენკო,
ქართველ მშენებელთა გუნდის კაპიტანი.

ჭ. სლავუტიჩი.

• • •

სურათზე: სლავუტიჩის მშენებელთა სპარტაკიადის მესამე პრიზიორები. მარცხნიდან — მერაბ თოდაძე, სტანისლავ ბონდარენკო, ალიკ კირაკოსიანი, ზვიად ბითაძე, გია ახალბედაშვილი, ჩინგიზ ბუსეინოვი, ომარ ქარქაშაძე, ზურაბ პატარაშვილი, ვახტანგ ჯაგაშვილი, დავით იმერლიშვილი, მირონ ბეროშვილი, ანტონ კამოევი.

ავტორის ფოტო.

პროფკავშირულ კოლექტივებში

„თამაშობს ყველა“

ასე შეარქვეს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქართველოს საბჭოს მიერ შარშან დაწესებულ ფრენბურთელთა თასს, რომელსაც რესპუბლიკის საწარმოდაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივები და სპორტული კლუბები ეცილებიან ერთმანეთს.

ამჯერად საპატიო პრიზისათვის ბრძოლაში ჩაება 10 ვაჟთა და ამდენივე ქალთა გუნდი და ორდღიანი ასპარეზობის შედეგად ვაჟებში ყველას აჯობა სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანება „უშბას“ სპორტულმა კლუბმა. წარმატებით გამოვიდა გურჯაანის № 4 საამშენებლო ტრესტის კოლექტივი, რომელმაც მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა, მესამეზეა საწარმოო გაერთიანება „დაზგათმშენებლის“ სპორტკლუბი „გამარჯვება“.

ქალთა ტურნირში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: პირველობა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანება სპორტულმა კლუბმა „შევარდენმა“ დაიმკვიდრა, მომდევნო ადგილებზე არიან „უშბისა“ და მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კლუბ „ივერიის“ ფრენბურთელები.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა

ᲕᲐᲜᲘ გამართულ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ვაჟთა პირველობა 64-უჯრედიან შაშში 15 შესაძლებლიდან 13,5–13,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა ლევან კიკნაძემ და ოსტატმა ალექსანდრე ბერუაშვილმა (ორივე — თბილისი). დებულების თანახმად, ორივე მოშაშეს მიენიჭა ჩემპიონის წოდება. ამასთან, კიკნაძემ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. 13 ქულით III ადგილზე გავიდა ოსტატობის კანდიდატი გივი მამიევი (სამტრედია).

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

31 ივლისს და 1 აგვისტოს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის მატჩები. გთავაზობთ ამ შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს:

„არარატი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1 (1:0). ერევნელი ვერანიანის მიერ 31-ე წუთზე გატანილი ბურთი შესვენების შემდეგ გაქვითა იმრეკოვმა.

გააფრთხილეს „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელი იმრეკოვი.

დუბლიორები — 4:1.

„უალგირისი“ — „კაირატი“ 2:0 (0:0). გოლები: ნარბეკოვასი, ფრიდრიკასი.

დუბლიორები — 2:0.

„ნეფთჩი“ — „შახტიორი“ 2:2 (0:0). გოლები: პეტროვი, გრაჩოვი („შახტიორი“), სულეიმანოვი, აჰმედოვი („ნეფთჩი“).

გააფრთხილეს დონეცკელი ფეხბურთელი ევსეევი.

დუბლიორები — 3:2.

„ლოკომოტივი“ — „მეტალისტი“ 1:1 (1:0). გოლები: კალაიჩევი („ლოკომოტივი“), ბარანოვი („მეტალისტი“).

გააფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელები ბარანოვი და დერევენსკი.

დუბლიორები — 0:2.

„დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ 1:1 (0:1). გოლები: ნ. სავიჩევი („ტორპედო“), სოკოლი („დინამო“).

გააფრთხილეს მინსკელი ზიგმანტოვიჩი და ტორპედოელი შირინბეკოვი.

დუბლიორები — 1:2.

„ზენიტი“ — „დინამო“ (კიევი) 1:1 (0:0). გოლები: ლიტოვჩენკო („დინამო“), პოდპალი („ზენიტი“).

დუბლიორები — 3:2.

„დინამო“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ 1:2 (0:1). გოლები: ლიუტი — 2 („დნეპრი“), ბოროდიუკი („დინამო“).

დუბლიორები — 1:2.

⊙ **ლენინგრადელ** ჩემპიონატში მხოლოდ დნეპროპეტროვსკის „დნეპრსა“ და კიევის „დინამოს“ აქვთ თითო დამარცხება. არც ერთი მატჩი ფრედ არ დაუმთავრებია თბილისის „დინამოს“, ალმა-ათის „კაირატის“ ანგარიშზე კი მხოლოდ ერთი ფრეა.

⊙ **კვლავ** წარმატებით თამაშობს დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, რომელმაც მეორე წრის სტარტზე მეტოქის მინდორზე დაამარცხა მოსკოვის „დინამო“. დნეპროპეტროვსკელთა წლევანდელი დანაკლისი კარგად ცნობილია, ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში კიევის „დინამოში“ გადავიდნენ ლიტოვჩენკო და პროტასოვი, შემდეგ მძიმედ დაშავდა გუნდის წამყვანი ნახევარმცველი ტიშჩენკო, მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩის წინ კი ტრავმა მიიღო გუნდის კაპიტანმა შოხმა. და, მიუხედავად ამისა, მაინც, „დნეპრი“ სატურნირო ცხრილის სათავეშია.

⊙ **მეორე** წრის I ტურში გამართული 8 მატჩიდან 5 დამთავრდა ფრედ, მათგან 4 ერთნაირი ანგარიშით — 1:1.

⊙ **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა მოსკოვის დინამოელი ა. ბოროდიუკი, რომლის ანგარიშზეა 10 გატანილი ბურთი. ერთი ბურთით ნაკლები გაიტანა ლოკომოტიველმა მ. რუსიაევმა, ხოლო თბილისელი დინამოელი გ. გურულის, დნეპროპეტროვსკელი ე. შახოვისა და კიევის დინამოელი ო. პროტასოვის ანგარიშზეა 8-8 გოლი.

⊙ **უველაზე** მეტი ბურთი გაიტანეს ლენინგრადის ზენიტელებმა — 25, ერევნის „არარატისა“ და დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელებმა სულ 11-11 ბურთი გაიტანეს.

⊙ **ფრეთა** ლიმიტი უმაღლეს ლიგაში უწინდებურად ათს უდრის. უკვე 7-7 მატჩი დაამთავრეს ფრედ „სპარტაკმა“, „დნეპრმა“, „მეტალისტმა“ და მინსკის „დინამომ“.

გათამაშების ცხრილი
დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 8 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	17	11	3	3	29-12	25
„სპარტაკი“	16	9	4	3	34-20	22
„ჩერნომორ.“	16	8	5	3	19-11	21
„დინამო“ კ.	14	8	3	3	24-15	19
„ტორპედო“	16	8	3	5	24-22	19
„უალგირისი“	16	7	5	4	30-13	19
„დინ.“ თბ.	15	6	5	4	20-21	17
„ზენიტი“	16	7	2	7	19-21	16
„ლოკომ.“	15	6	4	5	23-18	16
„დნეპრი“	17	6	3	8	18-25	15
„მეტალისტი“	17	5	4	8	19-20	14
„არარატი“	14	4	3	7	21-26	11
„ნეფთჩი“	14	3	4	7	8-18	10
„შახტიორი“	15	3	3	9	18-30	9
„კაირატი“	16	3	3	10	15-33	9
„დინ.“ მნ.	16	3	2	11	15-31	8

ИЗВЕСТИЯ
СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР

თბილისის „დინამო“: დაუყოვნებლივ საჭიროა თამაში

შესვენებამ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის წინ, ეტყობა, გარკვეულწილად იმოქმედა გუნდებზე, რომელთაც სატურნირო ბრძოლის ანალიზის საშუალება მიეცათ: 31 ივლისს შაჯვებმა შვიდიდან ხუთ მატჩში საყაიმო შედეგი აღნიშნეს. ასეთი ფრთხილი, წინდახედული თამაში ხაზს უსვამს ასპარეზობის დასკვნით ეტაპზე თითოეული ქულის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

თბილისის „დინამო“ შუა ზაფხულში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: ბოლოსწინა ადგილი პირველი წრის შემდეგ და უღიმღამო პერსპექტივა ჩემპიონატის მეორე ნახევარში ძვირფასი ქულების დასაგროვებლად. უკვე ივლისში დადგა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების საკითხი. ასეთი გაჭირვება გუნდს ჯერ არ ჰქონია. მაინც რა დაემართა თბილისის „დინამოს“, ასე რომ ჩაიძირა სატურნირო ცხრილში? სპეციალისტები ერთნაშნა პასუხს იძლეოდნენ: ხელიდან გაუშვეს წინასასეზონო მზადება, პირველ შეხვედრებში „წაახალისეს“, შემდეგ კი, ბუნებრივია თამაში დაკარგეს. კლუბის იმდროინდელმა მწვრთნელმა გ. ზონინმა გუნდის „შეჯანჯღარება“ სცადა, მაგრამ მუშაობაში არ იყო მწყობრი წესრიგი, რის გამოც კოლექტიური თამაში ჭირდა — ისეთმა მოთამაშეებმაც კი, როგორიც არიან თ. სულაქველიძე, ო. გაბელია, ბევრჯერ მიმართეს ზონინს თხოვნით, გაეზარდა გუნდის საკვარჯიშო დატვირთვა, მეტი მოეთხოვა მეცადინეობაზე ახალგაზრდობისაგან. მწვრთნელმა ძვირფასი დრო დაკარგა. შემდეგ გ. ზონინი ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს, დინამოელთა მთავარ მწვრთნელად კი ფარული კენჭისყრით — არჩევის ასეთი ფორმა პირველად გამოიყენეს — ივნისის პირველ რიცხვებში დაინიშნა დავით ყიფიანი. წარსულში შესანიშნავი ფეხბურთელი 1985 წლის შემდეგ მეორედ მიიწვიეს გუნდში ამ თანამდებობაზე.

მეორე მწვრთნელადაც ასევე ერთ-ერთი გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა დაინიშნა. საერთოდ კი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გუნდმა თორმეტი შთავარი მწვრთნელი გამოიცვალა. ეს ალბათ ძალიან ბევრია. ახლა „დინამო“ გაახალგაზრდავებულია — მოთამაშეთა საშუალო ასაკი ოდნავ აღემატება 21 წელს, მაგრამ გამოცდილება ჯერ არა აქვთ.

უნდა აღინიშნოს, რომ „დინამოს“ თაყვანისმცემლები, რესპუბლიკის სპორტული მუშაკები, ამ მძიმე დღეებში გუნდს არ განდგომიან, ისინი მომთმენნი და კეთილგანწყობილნი იყვნენ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა მიმართ. მოსკოვის „სპარტაკთან“ მატჩის წინ დინამოელები კეთილი სურვილებითა და წამახალისებელი სიტყვებით „აამხნევეს“ კლუბის მრავალრიცხოვანმა ქომაგმა. გუნდმა უამრავი წერილი და დეპეშა მიიღო, გულშემატკივრები წერდნენ, რომ სწამთ დინამოელებისა და ურჩევდნენ ფეხბურთის ფედერაციას გამოიჩინოს მეტი ერთობა, კიევის „დინამოს“, მოსკოვის „სპარტაკის“, „დნეპრისა“ და სხვა წამყვანი კოლექტივების მაგალითისამებრ შექმნას თბილისის „დინამოს“ მაღალპროფესიული კლუბი. ფეხბურთი რესპუბლიკაში ძალზე პოპულარულია, მაგრამ წამყვანი გუნდი სხვა ლიგებიდან არავითარ შევსებას არ იღებს. მეტიც, პირველი ლიგის გუნდებში — „გურიასა“ და ბათუმის „დინამოში“ თითქმის ყოველი მეორე მოთამაშე თბილისის დინამოელია.

„დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ, ოფიციალურად დაამტკიცა რა დავით ყიფიანი მთავარ მწვრთნელად, განსაზღვრა გუნდში მუშაობის ორგანიზაციის ხანგრძლივი პროგრამაც. რა თქმა უნდა, „დინამოს“ თამაშში არსებით ცვლილებებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ ფაქტია, რომ მან შეძლო მოსკოვის „სპარტაკთან“ შეხვედრაში საბრძოლველად განწყობილიყო და ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოეპოვებინა, რაც გუნდს, პირველ ყოვლისა, თავისი თამაშის ძიებაში რწმენას განუმტკიცებს.

ბ. ფედოსოვი.
„იზვესტია“ 2 აგვისტო.

ლაბტის წრეში
დაუჯერებელია? დაიჯერეთ!..

ვინ ითბობს ხელს რეგისტრაციაში გაუძარცველი ბილეთებით

ამ წერილს გწერთ ფოთელი ფეხბურთის გულშემატკივრები. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ქალაქში მიმდინარე წელს სტადიონზე თამაშდება საფეხბურთო ლატარია. ეს ძალიან კარგია და მაუურებელსაც იზიდავს მატჩებზე, მაგრამ ლატარიის ბილეთების გავრცელებას, ჩვენი აზრით, ნეგატიური მხარეც აქვს. მაგალითად, თავიდან, პირველ მატჩებზე, ბილეთები იყიდებოდა შეუზღუდავად და ყველა კმაყოფილი იყო. შემდეგ, ალბათ ლატარიის ორგანიზატორებმა შეამჩნიეს, რომ ბილეთები მთლიანად ვრცელდებოდა და... ახლა რამდენ ლატარიის ბილეთსაც იყიდი, იმდენი ფეხბურთის ბილეთიც უნდა შეიძინო. მაგალითად ხუთი ლატარიის ბილეთს ამდენივე ფეხბურთის ბილეთს უმატებენ. ასე რომ, ლატარიის ბილეთი გულშემატკივრებს უჯდებათ არა 1 მანეთი, არამედ 2 მანეთი. რაში გვჭირდება ზედმეტი ფეხბურთის ბილეთები? არა ვართ დარწმუნებული, რომ იძულებით შეძენილი ბილეთების ფული სალაროში შედის. ფეხბურთის ბილეთებს არც რიცხვი აწერია, არც რეგისტრირებულია. შეწუხებული არიან აბონემენტების მფლობელებიც, მათ ბილეთებს არ აძლევენ, „ბარს“ სდგანან, აბონემენტებს- ფული არა გაქვთ „გადახდილი“. აბონემენტი 20 მანეთი ღირს, ცალკე უნდა იყიდო ფეხბურთის ბილეთიც. სად არის სამართალი?

კიდევ ერთი: საღდება 20 ათასი ლატარიის ბილეთი, ეს 20 ათასი მანეთია, ამასთანავე ასაღებენ 20 ათას ფეხბურთის ბილეთს, ესეც 20 ათასი მანეთი. ჩვენს სტადიონზე კი ეტევა მხოლოდ 8 ათასი მაუურებელი. ეს არის ხალხის მოტყუება, აშუარად აგდება, ქალაქის ხელმძღვანელობა კი არავითარ რეაგირებას არ ახდენს.

ჩვენი თხოვნა იქნება დაგვეხმაროთ. ლატარიის ბილეთები უნდა გაიყიდოს სალაროებში და დადგინდეს — 3 ან 2 ბილეთი ერთ გულშემატკივარზე. აბონემენტის მფლობელთათვის კი ლატარიის ბილეთები ცალკე სალაროში უნდა გაიყიდოს. ჩვენი აზრით, ამ ქალაქში ვიღაცა ხელს ითბობს.

გიგზავნით ფეხბურთის ბილეთებსაც, რომლებიც ამას წინათ ზედმეტად შეგვაძენინეს ლატარიის ბილეთებთან ერთად.

ფეხბურთის ფოთელი გულშემატკივრები: ვანო ნემსაძე, ემზარ ჩაჩიბაია, რეზო ადამია, პეტრე ერმაკოვი, სულიკო ჯანჯღავა, ზაზა მიმინოშვილი, სერგეი ივანოვი, ვახტანგ ბერაია, ჯონი კვარაცხელია, გიორგი ჭიჭა, აკაკი ლემონჯავა, ნიკოლაი მაკუხინი, შალვა ოჩიგავა, ენვერ დოლბაია, ხაშა ზლობინი.

ПОТИ СТАДИОН «ВОДНИК»

ЗАПАДНАЯ ТРИБУНА

Серия «В—2» СЕКТОР №

РЯД МЕСТО 090071

ЦЕНА 1 РУБ.

КОНТРОЛЬ

გამოხმაურება წერილზე: „გუნდთან ერთად“

თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახა გუნდის მონდომებულმა თამაშმა მოსკოვის „სპარტაკთან“. წერილმა „გუნდთან ერთად“, რომელიც „ლელოს“ გუშინდელ ნომერში გამოვაქვეყნეთ, მკითხველთა უურადღება მიიპყრო. გვირეკავდნენ, ზოგიერთი კი რედაქციაშიც გვეწვია და აზრი გაგვიზიარა.

თქვენც მოგვეცით პირობა

თბილისის „დინამოს“ მუდამ მხარში ედგა გულშემატკივარი. მართალია, **გუნდის თამაშით იგი ბევრჯერ დარჩენილა გაწბილებული,** მაგრამ წყენა ბოლომდე არ გაჰყოლია, ისევ და ისევ ამოსდგომია მხარში ჩვენს ფეხბურთელებს. ასეთმა მხარდაჭერამ ბევრჯერ გვიხსნა. ვფიქრობ, გვიხსნა მოსკოვის „სპარტაკთან“ შეხვედრაშიც, როცა მაყურებლისგან ფრთაშესხმულმა ბიჭებმა მთელი შესაძლებლობები გამოავლინეს. ჩვენ კვლავ მოვალთ სტადიონზე. კვლავ დაგიჭერთ მხარს, დინამოელებო, მაგრამ თქვენც მოგვეცით პირობა, რომ ითამაშებთ თავდაუზოგავად, შემართებით.

ელდარ ბანძელაძე,
მშენებელთა ბრიგადირი,
თბილისი.

დიახ, ერთად!

„დინამო“ რომ მყარად დადგეს ფეხზე, მართლაც ყველა უნდა ამოვუდგეთ მხარში. არ შეიძლება გუნდის თანადგომაში აზრთა სხვადასხვაობა იყოს. სწორია, ზედმეტი მითქმა-მოთქმა და ჭორები კარგ სამსახურს ვერ უწევს გუნდს, მეტიც, იქმნება არასასურველი ატმოსფერო, მერე ჭირს გარკვევა, სად თავდება სამართლე და სად იწყება მონგონი. დარწმუნებული ვართ, დინამოელები და მათი ხელმძღვანელობა ჩვენთან ერთად, ჩვენი საერთო მხარდაჭერით დაძლევენ კრიზისს.

ზურაბ მირიანაშვილი,
თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი.

ფეხბურთი

ეს მხოლოდ ფიქრი არ არის

საქართველოს პირველობა ფეხბურთში გულშემატკივრის თვალით

ათი წელია ბორჯომის „თორს“ ვშეფობ. ამ ხნის განმავლობაში გუნდის ცხოვრებით ვცხოვრობ. ნიუანსებში ვიცი რა ხდება საქართველოს პირველობაზე. ვიცი, ფეხბურთის სამმართველოს რომელი მუშაკი როგორია და რომელი მსაჯი „რით სუნთქავს“.

ფეხბურთი დღეს სოციალური ფენომენია. არც ერთ შეკრებულებას არ ჰყავს იმხელა აუდიტორია, როგორც ფეხბურთს. ამიტომ ხალხი დიდად განიცდის საკუთარი გუნდის ავ-კარგს და არც არის საჭირო ჩემსავით ათი წელი გუნდთან ყოფნა, ისედაც ყველაზე ყველაფერი იცის.

ვისაც ფეხბურთთან რაიმე კავშირი აქვს, ყველასათვის კარგადაა ცნობილი თუ რა ხდება საქართველოს ჩემპიონატში. გთავაზობ ცხრილზე თვალის უბრალო გადავლებაც კი გვიჩვენებს: მოწინავეთა შორის ეკონომიკურად ლონიერი რაიონების გუნდები იმყოფებიან. ისეთები კი როგორებიც არიან: მესტია, ლენტეხი, ამბროლაური, ცაგერი, ხულო, შუახევი, ასპინძა, თბილისის გუნდები, ან საერთოდ არ მონაწილეობენ ჩემპიონატში, ან კიდევ არ იმყოფებიან“ ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ შორის. ასეთ მდგომარეობაშია ბორჯომის „თორიც“. რატომ? მოლა ნასრედინისა არ იყოს — „იმიტომ“!

შეიძლება მავანნი შემედაონ — ბორჯომის „თორი“ ხომ არის ლიდერებს შორისო. კი, მაგრამ მსოფლიოში სახელგანთქმული კურორტისათვის „ჟ“ კლასში ლიდერთა შორის ყოფნა ვერაფერი ბედნაა. პირველ ადგილზე კი თურმე არც უნდა ვიფიქროთ. ეს მიუწვდომელი, უცხო ხილი, ჩვენი საქმე არ ყოფილა და „ჭკვიანად უნდა ვიყოთ“. უბრალოდ კარგად, წესიერად უნდა ვითამაშოთ, მაყურებლები და ფეხბურთელები კარგად მოიქცნენ და... მხოლოდ მეორე ადგილზე შეგვიძლია რომ გავიდეთ...

ასეთი წერილის დაწერის სურვილი და არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ გალაშქრება ადრეც ბევრჯერ მომძალებია, მაგრამ თავი დამიოკებია სხვადასხვა მიზეზების გამო. თუნდაც იმიტომ, რომ ამით რესპუბლიკის ფეხბურთის მესვეურებს გადავკიდებდი ჩემს გუნდს და ცუდ სამსახურს გავუწევდი რაიონს. დაგვერქმეოდა „ინტრიგანები“ და თუ მანამდე ოცნებით მაინც შეიძლებოდა პირველ ადგილზე გასვლა, მერე ამის საშუალებაც აღარ გვექნებოდა. ყველა იმაში მარწმუნებდა, „შეეშვი მაგ საქმეს, მაინც არაფერი გამოვაო“.

მაინც გადავწყვიტე ხმის ამაღლება, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერს მაინც ვერ ვიტყვი — ხომ დამტკიცებაა საჭირო? ზოგიერთს ხომ შეუძლია იკადროს და იჩივლოს კიდეც!

დიახ, ნაძვები და ფიჭვები არაფერს ისხამენ, თამაშებზე ვინმეს მოსყიდვის არც საშუალება გვაქვს და არც ვაპირებთ ამას.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ როგორც ფეხბურთის სამმართველოში, ისე მსაჯთა შორის გამონაკლისის სახით არის რამდენიმე წესიერი კაცი, რომლებსაც საქმით შესტკივთ გული ქართულ ფეხბურთზე.

დაუწერელი კანონია, რომ ნორმალური მსაჯობის დროსაც კი არბიტრი 5-10 პროცენტით მაინც მასპინძელთა მხარეზეა. ეს რომ არ მოხდეს, ბორჯომში თითქმის ყველა მატჩზე აგზავნიან კომისარს. „თორის“ გასვლით თამაშებზე კი არცერთი კომისარი არ ყოფილა. რატომ? ისევ მოლასი არ იყოს — „იმიტომ“!

ახლახან ერთ-ერთ პრინციპულ თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე პირადად დავურეკე ფეხბურთის სამმართველოს უფროსს ა. ჭკუასელს და ვთხოვე მიეკლინა კომისარი. ბორჯომის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ჯ. ბერიძეც ჩავიდა მასთან სამმართველოში ამ საქმეზე.

მერედა რა? ერთუცნობიანი განტოლებასავით იოლი ამოსახსნელია თუ რატომ არავინ გაგზავნეს იმ მატჩზე. ის კი არა, თამაშზე გვერდითი მსაჯიც არ ჩავიდა. იმ მატჩზე სერიოზული ინციდენტი მოხდა, რასაც ახლა საგანგებოდ იკვლევენ.

ღირს კი ასეთ „ჩემპიონატში“ მონაწილეობა? მე თუ მკითხავთ, არა! ამ წერილის მიზანი ისიც არის, რომ ხალხმა, რაიონის მშრომელებმა, სპორტის მოყვარულებმა გადაწყვიტონ საკითხი და გასცენ პასუხი ამ კითხვაზე.

როგორც ჩანს უძრაობის პერიოდმა რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში კულმინაციას მიაღწია და დღემდე მკაცრად ვისჯებით ჩვენივე უპრინციპობისათვის.

ომაზი ჩხეიძე,
საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 1 აგვისტო.

რრკ „ელმავალი“ (თბილისი) — „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) 10:6 (3:0).

რრკ: გეგუჩაძე; ხვედელიძე, მანთიძე, თავაძე, მეტრეველი; ჩავლეიშვილი, გაბრიჩიძე; წიკლაური, კაკაბაძე (გიორგაძე, 76), ბაკურაძე, ხუადე, კაშია, ჯაფარაშვილი (მონიავა, 70), გ. გიუნაშვილი, ბახილაშვილი.

„ელექტრომაში“: ასტახოვი; სოკოვსკი, ს. კოტოლიჩენკო, პაცულა, ბოვე; ვ. კოტოლიჩენკო, ვიუშკოვი; ტუნიკოვი, ლიავინი (გეორგიევი, 20), ბელკოვსკი, ტარანი, ივანუშკინი, კარკაევი, ხაპეგა, ხტრახი.

მსჯავ ევგენი ისიანოვი (მოსკოვი).

გოლები: რრკ: არეკნი (30) და ხაჯარიმო (48) — ჩავლეიშვილი, ლელო (79) — გიუნაშვილი; „ელექტრომაში“: 2 ხაჯარიმო (52, 81) — ვ. კოტოლიჩენკო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

თბილისელ რეგბისტებს ძალიან გაუჭირდათ პირველობის ერთ-ერთი აუტსაიდერის — ტირასპოლის გუნდის დამარცხება. აშკარაა, რომ „ელექტრომაში“, რომელსაც აღარაფერი აქვს დასაკარგი (ამ გუნდს კარგა ხანია გადაეწურა ჩემპიონატის მეორე ეტაპზე მოხვედრის იმედი და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად გადასასვლელ ტურნირში მოუწევს თამაში), შექმნილი ვითარების გამო მეტად აგრესიულად, სწრაფად მოქმედებს, მორკინალები სტანდარტულ სიტუაციებში მარჯვედ ეუფლებიან ბურთს და არც სამმეოთხედელები თამაშობენ ურიგოდ.

ეტყობა, რკინიგზელები ასეთ მეტოქესთან სათამაშოდ სათანადოდ ვერ განეწყვნენ და მატჩის დასაწყისში ვერ მოიპოვეს უპირატესობა. მეტიც, მასპინძლები აუტის მოწოდებისას უგერგილოდ თამაშის გამო პირველ ოც წუთში, ფაქტიურად, უბურთოდ დარჩნენ. მაგრამ მალე მათმა უფრო მაღალმა კლასმა მაინც იჩინა თავი. სრული ძალით ამოქმედდნენ მორკინალები, ჩავლეიშვილის მაღალმა დარტყმებმა კი, რომელთა შედეგად რკინიგზელთა სამმეოთხედელები მეტოქის ზურგში გაგზავნილ ბურთს ხან მყის ეუფლებოდნენ, ხან კი შესამჩნევად ავიწროებდნენ სტუმრებს, შედეგი გამოიღო. თბილისელები დაწინაურდნენ; თანაც თამაშის სადავეებიც ხელთ ეპყრათ და ძნელი საფიქრებელი იყო, ჩვენები უეცრად თუ გატყდებოდნენ. ძნელი სათქმელია, უხეიროდ გათამაშებული ხუთმეტრიანი შერკინების ბრალი იყო, თუ პაპანაქება სიცხისა, მაგრამ 67-ე წუთიდან სტუმრები იერიშზე გადავიდნენ და ნირწამხდარი მასპინძლები მთელი ხუთი წუთის მანძილზე უთავბოლოდ იცავდნენ თავს. ამ ეპიზოდებში ტირასპოლელებს სათამაშო აღლომ და ტექნიკამ უმტყუნა, მერე კი ქაკაბაძისა და თავაძის მონდომებისა და საზრიანობის წყალობით თამაშმა ისევ „ელექტრომაშის“ ნახევარზე გადაინაცვლა; ბოლოს ბაკურაძემ მოლის მახლობლად გაარღვია სტუმართა დაცვა და გია გიუნაშვილმა გამარჯვების მომტანი ლელოც გაიტანა. დარჩენილ ხუთ წუთში თბილისელებმა კიდევ ააფორიაქეს მაყურებელი, მაგრამ თავი ამჯერადაც დაიცვეს და სეზონში უკვე მეცხრე მატჩი მოიგეს.

* * *

ამავე ტურში ქუთაისის „მშენებელი“, რომელიც ჩემპიონატის დაწყებიდან უცვლელად ედგა თავში გათამაშების ცხრილს, ალმა-ათაში დამარცხდა ადგილობრივ არმიელებთან — 12:16 და ლიდერობა გადაულოცა მონინოს სსა-ს, რომელმაც მოსკოვში „ფილის“ სძლია — 25:6. გუშინწინ გამართული სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სლავა“ (მოსკოვი) 6:6, „ავიატორი“ (კიევი) — „ზვეზდა“ (ტაშკენტი) 27:13.

ბოლო ტურის წინ, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან „სლავა“ — „ფილი“, „მშენებელი“ — „ავიატორი“, „ზვეზდა“ — რრკ, ტირასპოლი — ასკ, სსა — ეტს, ლენინგრადი — „ლოკომოტივი“, მეორე ეტაპზე გამავალი რვა გუნდი გათამაშების ცხრილში ასე განლაგდა: სსა — 57 ქულა, „მშენებელი“ — 56, „სლავა“ — 50, „ლოკომოტივი“ — 49, ეტს — 48, „ავიატორი“ და ასკ — 47-47, რრკ — 40. საქართველოს გუნდები ბოლო ტურის მატჩებს 6 აგვისტოს გამართავენ.

I ლიგა

დღეს განახლდება საკავშირო გათამაშება ფეხბურთში I ლიგის გუნდებს შორის. 17 ივლისს დამთავრდა პირველი წრის შეხვედრები, სამკვირიანი შესვენების შემდეგ, 23-ე ტურის მატჩებით იწყება გათამაშების მეორე ნახევარი.

შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს დუშანბეს „პამირს“, რომელმაც 21 შეხვედრაში 33 ქულა დააგროვა. გათამაშებას საკმაო ხანს ლიდერობდა სტავროპოლის „დინამო“, მაგრამ პირველი წრის ფინიშზე სტავროპოლელებმა ლიდერობა დუშანბეს „პამირს“ დაუთმეს, ახლა მათ 31 ქულა აქვთ. III-IV ადგილებზე არიან გუნდები, რომლებიც სხვადასხვა დროს უმაღლეს ლიგაში გამოდიოდნენ — როსტოვის არმიელები და ცსკა, თითოეულ მათგანს 26 ქულა აქვს. 24 ქულით მეხუთე ადგილზეა ვოლგოგრადის „როტორი“.

მეექვსე ადგილზე იმყოფება ლენინაკანის „გურია“. ჩვენი რესპუბლიკის ეს გუნდი კარგ წარუმატებლად გამოდიოდა, მაგრამ შემდგომში — ნელ-ნელ დაიმკვიდრა სტაბილური მდგომარეობა, გაძლიერდა თავდასხმა, თამაში სტაბილური გახდა და „გურიაც“ ტურიდან ტურამდე უახლოვდება მოწინავე პოზიციებს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ერთობ არასახარბიელო მაჩვენებლები აქვს ბათუმის „დინამოს“, პირველი წრის შედეგების მიხედვით ჩვენი გუნდი 12 ქულით ბოლო, 22-ე ადგილზე იმყოფება. ბათუმელებს მცირე განსხვავებით უსწრებენ პერმის „ზვეზდა“ (13 ქულა), ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ (14 ქულა) და კრასნოდარის „უუბანი“ (15 ქულა).

დღევანდელ ტურში ლენინაკანის „გურია“ ორჯონიკიძეში ხვდება „სპარტაკს“, ხოლო ბათუმის დინამოელები სტავროპოლში თამაშობენ თავიანთ თანაკლუბელებთან.

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების გამოტოვებული სამი შეხვედრა: „ბაკინეცი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:3, „ხაზარი“ (სუმგაითი) — „დილა“ (გორი) 1:1, „გოიაზანი“ (ყაზახი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 2:0.

გათამაშების ცხრილი

IX ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპ.“ ქ.	15	12	2	1	24-12	26
„სოკოლი“	15	11	3	1	40-16	25
„მეტალურგი“	15	10	1	4	33-19	21
„ქიაფაზი“	14	9	1	4	33-13	19

II ლიგა

„ატომმაში“	15	7	3	5	24-15	17
„შევარ.“-სპი	15	7	3	5	25-23	17
„დილა“	15	7	2	6	26-30	16
„თერგი“	15	7	1	7	23-21	15
„გოიაზანი“	15	6	3	7	21-20	15
„ტექსტ.“	15	5	4	6	18-18	14
„დინამო“	14	6	1	7	20-21	13
„ლოკ.“ (მ. წ.)	14	3	4	7	16-24	10
„ხაზარი“	14	3	4	7	13-25	10
„ტორპ.“ ვ.	15	3	1	11	13-29	7
„ბაკინეცი“	15	2	2	11	11-38	6
„ლოკ.“-ომც	15	2	1	12	16-42	5

საკავშირო უნივერსიადა-88

ერთი საფეხურით დაბლა



გუშინწინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სასახლეში დამთავრდა მოფარიკავეთა ტურნირი უნივერსიადის პროგრამით. მასპინძლებმა ორი ოქროს მედალი მოიპოვეს. ამ მედლებს შეიძლება სხვა ჯილდოებიც მიმატებოდა, რამდენიმე ჩვენი მოფარიკავე გადამწყვეტ ბრძოლებში უფრო მობილიზებული რომ ყოფილიყო. აშკარად უკეთესი შედეგის ჩვენება შეეძლო V ადგილზე გასულ ოლეგ ჩერნიშოვს, დაშნით ფარიკაობაში მედლის მოპოვებას უწინასწარმეტყველებდნენ ჯემალ გამიაშვილს...

ფიზკულტურის ინსტიტუტის წლევანდელი კურსდამთავრებული გამიაშვილი, როგორც უკვე გაცნობეთ, დამაჯერებელი შედეგებით მოხვდა ფინალში — რვა საუკეთესოს შორის. ფინალში ბრძოლა ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს — პირველ შეხვედრას თუ მოიგებ, V ადგილი გარანტირებული გაქვს, მეორე შეხვედრის მოგება — უკვე მთავარი ფინალის საგზურს იძლევა და ა. შ. გამიაშვილმა სწორედ პირველი ბრძოლა წააგო — მართალია, მეტად დაძაბულ პაექრობაში (11:12), მწვრთნელებს იმედი ჰქონდათ, რომ მას მთავარ ფინალში იხილავდნენ, მაგრამ ჩვენს სპორტსმენს ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა სარქის აივაზიანმა აჯობა, რომელიც, თავის მხრივ, ასევე მინიმალური ანგარიშით დამარცხდა ვლადიმერ გრეცკისთან — 12:13. მეორე ოთხეულიდან ფინალისკენ გზა გაიკაფა ხარკოველმა ვლადიმირ ლუკაშენკომ. გადამწყვეტ შერკინებაში მან გრეცკისაც აჯობა და უნივერსიადა-88-ის ჩემპიონობა მოიპოვა. აივაზიანი მესამე ადგილზე გავიდა, გამიაშვილი — მეხუთეზე.

როგორც იცით, ჩვენი გოგონები პირად პირველობაში სუსტად გამოვიდნენ და, ცხადია, გუნდური ასპარეზობის კენჭისყრამ პირველ ბრძოლაში მათ მეტად ძლიერი მეტოქე — მოსკოვის ნაკრები შეახვედრა. მოსკოველებმა იოლად მოიგეს ეს მიკრომატჩი — 9:3. შემდეგ მასპინძლებმა IX ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხეს თურქმენეთის გუნდი (9:5). საერთოდ კი გაიმარჯვეს რუსეთის ფედერაციის მოფარიკავეებმა, მეორე ადგილზეა უკრაინის გუნდი, მესამეზე — ბელორუსიის ნაკრები.

დაშნით მოფარიკავეთა გუნდურ პირველობაში საქართველოს სპორტსმენები მეორე ტურიდან ჩაებნენ და პირველივე შეხვედრა წააგეს ლენინგრადის გუნდთან ანგარიშით 7:9, რის შემდეგაც მე-5 ადგილზე გასვლის შანსიღა დარჩათ. ეს შესაძლებლობა მათ ვერ გამოიყენეს: მართალია, უზბეკეთის გუნდი (9:5) დაამარცხეს, მაგრამ რსფსრ-ის სპორტსმენებთან წააგეს (8:8, ჩხვლეტების შეფარდებით) და VI ადგილზე გავიდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო უკრაინის ნაკრები, მეორე ადგილზე არიან, ლენინგრადელები, მესამეზე — საქართველოს მოფარიკავეები. თითქოს ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ წინა ანალოგიურ ტურნირში, რომელიც ასევე თბილისში ჩატარდა, მასპინძლებმა მეორე ადგილი მოიპოვეს. ოღონდ მაშინ მხოლოდ ბურევესტნიკელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

გიორგი პავლიაშვილი.

ფინალური ტურნირის მიღმა

თბილისში დამთავრდა უნივერსიადა-88-ის კალათბურთელ ქალთა ზონალური ტურნირი. სამი ტურის შემდეგ გათამაშებას დაუმარცხებლად ლიდერობდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელები.

მეოთხე ტურში სომხეთის გუნდმა ადვილად დაამარცხა მოლდავეთის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი — 90:61 (34:27). ეს, საქართველოსა და უკრაინის (ფიზკულტურის ინსტიტუტი) სპორტსმენთა შეხვედრას კი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან გამარჯვებულს ფინალის საგზურის მოპოვების რეალური შანსი უჩნდებოდა (ფინალში ზონიდან ორი საუკეთესო გუნდი უნდა გასულიყო).

ქართველმა კალათბურთელებმა ეს შეხვედრა კარგად დაიწყეს. პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც 40:32. ისინი შესვენების შემდეგაც კარგა ხანს წინ იყვნენ. მატჩის დამთავრებამდე 30 წამით ადრე, როცა თბილისელთა უპირატესობა მინიმუმამდე დავიდა (82:81), წარმატების კიდევ ერთი კარგი შანსი გაჩნდა, ვინაიდან მასპინძლებმა ორი საჯარიმო სროლის უფლება მოიპოვეს. მაგრამ ნოვიკოვამ მხოლოდ ერთი გამოიყენა, მეორე კი, დარჩენილ დროში ბურთს უკრაინელები დაეუფლნენ და ანგარიში გაათანაბრეს — 83:83. დამატებით 5 წუთში გამარჯვება უკრაინელებს დარჩათ — 94:92.

მეხუთე ტურში უკრაინელები მოულოდნელად დამარცხდნენ აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან — 79:81 (39:40). ერთხელ კიდევ გაჩნდა შანსი ფინალში გასვლისა, მაგრამ ეს რომ მომხდარიყო, ჩვენს კალათბურთელებს სომხეთის გუნდისთვის უნდა ეჯობნათ. ამ რთული ამოცანის გადაჭრა ჩვენმა კალათბურთელებმა ვერ შესძლეს და გამარჯვება სომხეთის გუნდს დარჩა — 105:102.

საბოლოოდ ტურნირში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტი, 2. უკრაინის ფიზკულტურის ინსტიტუტი, 3. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

ევროპის ზოგ ქვეყანაში ახლა დაიწყო, ზოგან კი მიმდინარეობს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატები.

საფრანგეთი

პირველი ტური. „ნანტი“ — „მონაკო“ 1:1, „ბორდო“ — „ოსერი“ 2:0, „რესინგი“ — „ტულუზა“ 0:1, „მარსელი“ — „მონპელიე“ 1:1, „მეცი“ — „სენ ჟერმენი“ 0:1, „ლანი“ — „ტულონი“ 0:1, „ლავალი“ — „ლილი“ 1:2, „სტრასბურგი“ — „სოშო“ 0:3, „კანი“ — „კაენი“ 2:0, „ნიცა“ — „სენტ-ეტიენი“ 1:0.

ნორვეგია

მე-9 ტური. „ბრინი“ — „რუსენბორგი“ 1:3, „დიერვი“ — „ლილესტრიომი“ 1:2, „მოსი“ — „სონდალი“ 1:0, „სტრიომენი“ — „მოლდე“ 0:0, „ტრომშიო“ — „ბერგენი“ 2:0, „ვოლერინგენი“ — „კონგსვინგერი“ 2:0.

„ლილესტრიომი“	9	16-7	20
„რუსენბორგი“	9	13-10	18
„მოსი“	9	15-5	17

შენიშვნა: გამარჯვებისთვის გუნდებს 3 ქულა ერიცხებათ.

შვეცია

მე-12 და მე-13 ტურები. „ჰამარბიუ“ — „გაისი“ 1:2, „ფრედუნდა“ — „იურგორდენი“ 0:3, „აიკი“ — „მალმიო“ 1:5, „იფკ გოტებორგი“ — „იურგორდენი“ 1:1, „ნორჩეპინგი“ — „ჰამარბიუ“ 6:0, „ფრელუნდა“ — „ესტერი“ 3:3, „ერგრიუტე“ — „ბრაგე“ 3:0, „სუნდსვალი“ — „გაისი“ 1:1.

„მალმიო“	12	28-14	19
„ნორჩეპინგი“	12	28-11	17
„გიოტებორგი“	12	16-10	16

(ხაკ. ინფ.).

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს განყოფილების გამგეს ოთარ ნოზაძეს დედის

ეკატერინე (კატუშა) ნესტორის ასულ ჭედია-ნოზაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 ᲪᲒ 05479